

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

ქ. გორი

2019

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი მიღევად რეჟიმში ახორციელებს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს:

- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო პროცესი დასრულდება 2020 წელს)
- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო პროცესი დასრულდება 2022 წელს)

შენიშვნა: აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება არ ხორციელდება

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისია

საზოგადოების ძირითადი მისია ითვალისწინებს შიდა ქართლის რეგიონში და მთლიანად საქართველოში ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნისა და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას, პირის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას პროფესიული სწავლების მრავალსაფეხურიანობის და მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ასევე,

ა) ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას;

ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფას;

გ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობას.



ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა



პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (3000 საათს), რომლის 60 % (72 კრედიტი/1800 საათი) ეტმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 40 % (48 კრედიტი/1200 საათი) - პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან. ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი. პროგრამის ხანგრძლივობაა 82 სასწავლო კვირა.

სწავლების ენა: ქართული.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება.

სფეროს აღწერა - ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა განაპირობა ფარმაცევტიული წარმოების სწრაფი განვითარება. ფარმაცევტული საქმიანობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში, რომლის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტია საჭირო. მათ შორისაა ფარმაცევტულ საწარმოებში, ლაბორატორიებში, აფთიაქებში და ფარმაცევტულ ბაზებში მომუშავე სათანადო ცოდნისა და კომპეტენციების მქონე ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი ფარმაცევტის თანაშემწის მომზადება, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს:

ეცოდინება: აფთიაქში მუშაობისა და ფარმაცევტულ საწარმოში წამალთა ტექნოლოგიებზე დამყარებული თეორიული და პრაქტიკული საფუძველბი.

შეძლებს: ფარმაცევტულ საწარმოებში და ორგანიზაციებში მიმდინარე ძირითადი პროცესები და მოწყობილობები; მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა მიდგომა, სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. მიღებული ცოდნის საფუძველზე ფარმაცევტული ბიზნესის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული იდეების, მოსაზრებებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;

სწავლის შედეგი - სწავლის შედეგები მიიღწევა ქვემოთ წარმოდგენილი დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

ცოდნა და გაცნობიერება - იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები; იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს; იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს; იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა.შ.) თეორიული საფუძვლები; იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს, პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია: ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა. პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა), სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები). სამედიცინო დანიშნულების საქონლის (საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრანის ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება; წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; დოკუმენტაციის წარმოება;

დასკვნის უნარი - უნარი შესწევს: ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ფარმაცევტული ნედლეულის სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ; შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით. უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად; უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია; აქვს დემონსტრირების უნარი.

სწავლის უნარი - შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.

ღირებულებები - მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები.



პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100 %
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - 40%-51% რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - 0%-40% რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება: ა) მიმდინარე შეფასებები; ბ) შუალედური გამოცდა;
- დასკვნითი გამოცდა;

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- ზეპირი გამოცდა
- პრაქტიკული დავალება

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა



სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 09101-პ, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო

მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 164 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 29 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 134 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 24 სასწავლო თვე

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების დამცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას მინიჭებაშპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამებისთვის**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, გორი, 1400

გორგასლის ქ. #1ა

ტელეფონი: 0 370 27 05 56

მობილური: 598 188 588; 595 535 235

info.college.amagi@gmail.com

www.amagi.edu.ge

